

დადგენილება № 89/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო საშემსრულებლო ფაკულტეტზე საგნის „სასცენო მოძრაობა“ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ანაზღაურების შესახებ

დადგენილება № 89/2020
15 დეკემბერი, 2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 43),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საშემსრულებლო ხელოვნების სასწავლო დისციპლინაზე „სასცენო მოძრაობა“, რომლებიც ვერ განხორციელდა ახალი კორონავირუსით (Covid-19) გამოწვეული გარემოებების გამო, სტუდენტთა საუკეთესო ინტერესებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, დაიგეგმოს ამავე აკადემიური სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში;

2. დისციპლინების პედაგოგებს დაევალოთ:

ა) გაცდენილი საკონტაქტო საათების ანაზღაურების გეგმა-გრაფიკის შემუშავება გონივრული ვადების, საგანის სპეციფიკისა და სტუდენტთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ბ) გეგმა-გრაფიკი შემუშავდეს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანისა და კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიური ჩართულობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში;

3. შემუშავებული გეგმა-გრაფიკი საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოზე და გადაეგზავნოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად;

4. წინამდებარე დადგენილების 1-ელი პუნქტით განსაზღვრული სასწავლო დისციპლინის სტუდენტებისათვის გაზაფხულის სემესტრში დაგეგმილი აღნიშნული საგანი განხორციელდეს სწავლის დამატებითი საფასურის განსაზღვრის გარეშე. ასევე, მიმდინარე სემესტრში სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინის გაუვლელობა სტუდენტებს ჩაეთვალოთ საპატიოდ და არ იქნას გათვალისწინებული რეიტინგის განსაზღვრის პროცესში.

5. დადგენილება დაეგზავნოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აკადემიური სიმღერის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს;

6. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge

7. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;

8. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე